წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების ფორმირება გრამატიკის სასკოლო კურსის სწავლებისას (პუნქტუაციური უნარ-ჩვევები)

ნინო ნონაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი)

მეცნიერ ხელმძღვანელი: ნათელა მაღლაკელიძე, განათლების მეცნიერებათა დოქტორი
ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ნონაშვილი.
30. 06. 2015 წელი.

აბსტრაქტი

მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში უამრავი პუნქტუაციური შეცდომა გხვდება, რაც გამოწვეულია სალიტერატურო ენის კანონების გვერდის ავლითა და სკოლაში მშობლიური ენის სწავლების პრობლემებით. დღემდე პუნქტუაცია სასკოლო განათლების ერთ-ერთ სუსტ წერტილად რჩება, რაც არასასურველ გავლენას ახდენს მოსწავლეთა წერითი მეტყველების ფორმირებასა და მათი წიგნიერების საერთო დონეზე. სასკოლო განათლების რეფორმამ მთლიანად შეცვალა დამოკიდებულება საერთოდ გრამატიკისა, და აქედან გამომდინარე სინტქსის, სწავლებაზეც. ენობრივ-ლიტერატურული მასალის ინტეგრირების პროცესში მასწავლებელი მოკლებულია მეთოდურ რესურსებს, რაც მას მოსწავლეთა პუნქტუაციური უნარ-ჩვევების ფორმირებაში დაეხმარება. ხოლო ის კვლევები, რომლებიც მანამდე არსებობდა, დღეს საკმაოდ მოძველებულია და მათი გამოყენება იმ სახით მასწავლებელს ფაქტიურად აღარ შეუძლია. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ჩვენ მიერ ამ თემის კვლე

ვიკვლიეთ შემდეგი საკითხები:

1. რა სახის პუნქტუაციურ შეცდომებს უშვებენ მოსწავლეები და როგორ იყენებენ ისინი პუნქტუაციურ წესებს პრაქტიკაში.

2. რა განაპირობებს მოსწავლეებში პუნქტუაციურ შეცდომებს.

3. როგორ არის წარმოდგენილი პუნქტუაციის საკითხები ესგ-ში და როგორაა ეს გათვალისწინებული სახელმძღვანელოში.

4. რა რესურსებს იყენებენ მასწალებლები პუნქტუაციურ უნარ-ჩვევათა ფორმირებისას.

5. რა მდგომარეობაშია დღეს სკოლაში სინტაქსის სწავლება, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება პუნქტუაციური უნარ-ჩვევების ფორმირებას.

6. რამდენად არიან მზად ჩვენი მოსწავლეები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად? აძლევს თუ არა მათ სკოლა საკმაო განთლებას ამ კუთხით.

კვლევა ჩატარდა თბილისის 39-ე და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი კეხიჯვრის საჯარო სკოლების VII და XII კლასებში. კვლევაში მონაწილეობდა: 49 მეშვიდეკლასელი, 21 მეთორმეტეკლასელი და 6 ქართულის მასწავლებელი.

მონაცემთა შეგროვება მოხდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებით. ასევე, მოვახდინეთ მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი.

კვლევამ გვიჩვენა:

- მოსწავლეები უშვებენ უამრავ პუნქტუაციურ შეცდომას, რომლებიც პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად გავყოთ:
  ა) სასვენი ნიშანი არ არის დასმული იქ, სადაც საჭიროა, ანუ გამოტოვებულია;
  ბ) სასვენი ნიშანი უადგილოდ არის გამოყენებული;
  გ) ერთი სასვენი ნიშანი შეცვლილია მეორეთი;
- მოსწავლეებში პუნქტუაციურ შეცდომებს განაპირობებს:
  ა) სასვენი ნიშნების განმსაზღვრელად პუნქტუაციის ჩათვლა;
  ბ) სასვენი ნიშნების დანიშნულების არცოდნა;
  გ) ენის სინტაქსური კანონზომიერების უგულებელყოფა;
- მასწავლებლები პუნქტუაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, მიმართავენ შემდეგ დამატებით რესურსებს:
- ა)დამატებით ლიტერატურას;
  ბ)პირად კონსპექტებს(პუნქტუაციის ირგვლივ);
  გ) კლასგარეშე გაკვეთილებს;
  დ) პროექტებს;
- მოსწავლეთა უმრავლესობას არ აკმაყოფილებს სახელმძღვანელო და სკოლიდან მიღებული ცოდნა, ამიტომ მიმართავენ რეპეტიტორს.
- დღეს პუნქტუაციის სწავლების კუთხით, რთული სიტუაციაა. ფაქტიურად, ორი წლის განმავლობაში ისწავლება სასვენი ნიშნების რაობა.

  სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზმა და შედარებამ ესგ-თან და ,,ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტთან" გვიჩვენა, რომ მოსწავლისგან ითხოვენ ,,შედეგებს", თუმცა, არსად არაა საუბარი იმაზე ენის რომელ საკითხს უნდა დაეუფლოს ის სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე. თუ როდის რა მასალა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა. დავაკონკრეტებ, რომ ეს არის მხოლოდ ჩემი აზრი, რომელიც მხოლოდ განათლების სამინისტროსა და სახელმძღვანელოების ავტორების ერთობლივად გადასაწყვეტია.

  აღნიშნული კვლევა არაა მაშტაბური, თუმცა, ვფიქრობთ, რომ სამაგისტრო ნაშრომში გამოკვეთილი პრობლემატიკა დააინტერესებს მომავალ თაობას და კვლევას მიეცემა ფართო სახე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პუნქტუაცია, სწავლების პრობლემატიკა, კვლევა, შედეგები.

Abstract

We find too many punctuational mistakes in students' writing tasks that is caused by not paying attention to the laws of the literary language and by the problems of studying the native language at schools. To these days Punctuation remains as one of the weakest points of the school education that makes an unwilling effect on the formation of students' writing speech and on the common level of their literacy. The school education reform fully changed the attitude towards teaching grammar and syntax. While integrating the lingual and the literary materials the teacher is in lack of methodological resources, which will help her to form students' punctuational skills. And the researches existed before are too old and unsuitable to be used today. Just the reasons mentioned-above made me think to make a research on this question.

We have discussed the following questions:

1) What punctuation mistakes students make and how they use punctuation rules in practice.
2) What are the reasons of making punctuational mistakes.
3) How punctuation is presented in NLP and how it is given in the text-books.
4) What resources teachers use to form students' punctuation skills.
5) How syntax is taught at schools, which later is the basis of forming punctuation.
6) How our students are ready for passing their national exams. Does the school give them enough education in this angle?

The research was made in Tbilisi public school & 39 and village Kekhijvari public school in VII and XII class pupils. 49 7th graders, 21 12th graders and six Georgian language teachers took part in the research.
The data was collected with quantitative and qualitative research methods. Also, we analysed the students' works. The research showed us - students make too many mistakes in punctuation that can be divided in three groups: a) The punctuation mark isn't put in its necessary place or it is omitted, b) It is put in the wrong place, c) It is put incorrectly. Mistakes in punctuation are caused by: a) Defining punctuation as punctuation marks, b) The lack of the knowledge of using them, c) Rejecting the use of lingual rules

To form the punctuation skills in students teachers use extra resources: a) additional literature, b) private notes, c) extra curricular lessons, d) projects. School education isn't enough for the majority of the students, so they take private teachers. Today the situation in teaching

punctuation is very difficult. In fact punctuation marks are taught for two years at schools.

Analysing the text-books and comparing them to NLP and the standard of Georgian language and literature showed us that they insist "results" from the students but there is no notice when students should study what or at what stage teachers should teach their pupils this or that material. To be precise, this is my own idea that can be only decided together by the Ministry of Education and the authors of the text-books.

The research isn't very large-scale but I think that the problem mentioned in my magistry work will arise the interest of the future generation and it will have a wider extent.

Basic Research Words: Punctuation, Problem of Teaching, Research, Results

მადლობა

მადლობას ვუხდი, მეცნიერ ხელმძღვანელს - განათლების მეცნიერებათა დოქტორს ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში, ქ.ნ ნათელა მაღლაკელიძეს, სამაგისტრო ნაშრომის ნაყოფიერი ხელმძღვანელობისათვის.